

მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების წინაპირობები, მტკიცების  
სტანდარტი და ანაზღაურების სხვა შესაძლო ალტერნატივები

მაგისტრანტი: თამუნა ქათამაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სამართლის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

პროგრამა: კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა პაპუაშვილი, სამართლის  
დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამუნა ქათამაძე

30.06.2020.

## აბსტრაქტი

მიზანი - მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, ზიანის აღნიშნული ტიპის ჰიპოთეტური ბუნებიდან გამომდინარე, თავისებურებებით და სირთულეებით ხასიათდება. ანაზღაურების რიგი წინაპირობები და მათი მტკიცების მაღალი სტანდარტი მნიშვნელოვნად ართულებს მოსარჩელის მიერ ანაზღაურების მიღების და დარღვეული უფლების სრულად აღდგენის საკითხს. წინამდებარე ნაშრომის მიზანს სწორედ აღნიშნული წინაპირობების, მათი მტკიცების სტანდარტის და ანაზღაურების სხვა შესაძლო ალტერნატივების გამოკვლევა წარმოადგენს.

მეთოდები - კვლევისათვის გამოყენებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი. ამასთან, კვლევის საგანი შედარებულ იქნა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების მიხედვით საკითხის მოწესრიგებასთან და ისეთ უნიფიცირებულ დოკუმენტებთან, როგორებიცაა: ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (PECL), საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების უნიდრუას პრინციპები (UPICC) და საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ვენის კონვენცია (CISG).

შედეგები - მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, ზიანის სრულ კომპენსირებას აბრკოლებს წინასწარგანჭვრეტადობის და შემოსავლის ობიექტურად მიღების შესაძლებლობის წინაპირობების მტკიცება, ასევე ზიანის ოდენობის გამოთვლა. პარალელურად გამოკვლეულ იქნა ანაზღაურების შესაძლო ალტერნატივები - დაკარგული შანსი და მოვალის მიერ კრედიტორის ხარჯზე უსაფუძვლოდ დაზოგილი თანხების ანაზღაურება (სსკ-ის 991-ე მუხლი).

დასკვნები - გამოკვეთილი პრობლემური საკითხები მნიშვნელოვნად აფერხებს დარღვეული უფლების აღდგენას და ზიანის სრულ კომპენსირებას. მნიშვნელოვანია სავარაუდო ალტერნატივების გაზიარება და მათ საფუძველზე ანაზღაურების დაკისრება, იქ სადაც ალტერნატივებით დადგენილი წინაპირობები იქნება სახეზე.

სამიუბო სიტყვები: მიუღებელი შემოსავალი, დაკარგული შანსი, ზიანის ოდენობა, წინასწარ სავარაუდო, ობიექტურად მისაღები.

## Abstract

Purpose - The issue related to unpaid income compensation characterizes peculiarities and difficulties, due to the hypothetical nature of mentioned damage. The preconditions for unpaid income compensation and the high standard of their burden of proof assertion significantly complicates the issue related to plaintiff's receipt of compensation and full restoration of the violated right. The purpose of present thesis is to research preconditions of lost profits, standard of burden of proof related to preconditions of lost profits and other possible alternatives of compensation.

Methods – For research was used the analysis of practice of Supreme Court of Georgia and Tbilisi Court of Appeals. In addition to this, the subject of research was compared with the settlement of the issue according to different legal system and with such unified documents as The Principles of European Contract Law (PECL), United Nations Convention of International Sale of Goods (CISG) and UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (UPICC).

Results – Compensation of lost profits, full compensation of damage is hindered by the burden of proof and the definition of foreseeability of damage and the possibility to prove the preconditions of objectively receiving income, moreover the determination the amount of damage. In parallel with these problems, was researched alternatives of recovery, such as loss of a chance and reimbursement of unreasonably saved money by the debtor at the expense of the creditor, on the basis of general reservation (Article 991).

Conclusions – The problematic issues raised during research significantly hinder the restoration of the violated right and the full compensation of the damage. Therefore, it is important to share the assumed alternatives and on the basis of them to impose compensation, there, where will be on the face appropriate preconditions set by the alternatives.

Main words – lost profit, loss of a chance, amount of damage, foreseeable, objectively acceptable.